პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзов

გამოცემის მე-8 წელი

№ 1 (496) — შაბათი, 1 იანვარი, 1952 წ. — ფასი 80 კაპ.

# ახალი გამარჯვებების წელი

წუხელ, როდესაც ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყოველ კუთხეში საზეიმოდ აჟღერდა კრემლის კურანტების მეთორმეტე დარტყმის ეხო, ბედნიერი საბჭოთა ადამიანები სავსე ჭიქებით ხელში ადგნენ და ახალწლის პირველ წუთს ჯანმრთელობა და მრავალჟამიერი სიცოცხლე უსურვეს საყვარელ ბელადს დიდ სტალინს. ამ გულითადი სადღეგრძელოს ქუხილში შემოდგა პირველი ნაბიჯი საბჭოთა მიწაზე ახალმა, 1952 წელმა.

ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა მადლობის გრძნობით გააცილეს 1951 წელი, რომელმაც მრავალი ბრწყინვალე სტრიქონი ჩაწერა სოციალისტური სახელმწიფოს გმირულ მატიანეში. გასული წელი საბჭოთა მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის თავდადებული, შემოქმედებითი საქმიანობის ნაყოფიერი წელი იყო.

სახალხო მეურნეობისა და კულტურის შეუნელებელი აღმავლობა, მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესება, საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის კიდევ უფრო განმტკიცება, შესანიშნავი წარმატებანი კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში, — ასეთი იყო 1951 წელი. საბჭოთა ხალხმა პატრიოტული ენთუზიაზმით გააჩაღა შრომა კომუნიზმის გრანდიოზულ მშენებლობათა ხარაჩოებზე—კუიბიშევის, სტალინგრადისა და კახოვკის ჰიდროელექტროსადგურების სამშენებლო მოედნებზე, ვოლგა-დონის, თურქმენეთის, სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხთა ტრასებზე.

1951 წელი — ეს იყო ჩვენი სამშობლოს ხალხთა მძლავრი ნაბიჯი, გადადგმული წინ — კომუნიზმის კაშკაშა მწვერვალებისაკენ.

გასულმა წელმა დიდი გამარჯვებები მოუტანა მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის მებრძოლთა ურყევ ფრონტს, რომლის ავანგარდში დგას საბჭოთა კავშირი; კიდევ უფრო განმტკიცდა დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალები მსოფლიოში.

ახალი შესანიშნავი მიღწევებით აღნიშნა გასული წელი დედასამშობლოს ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა მრავალმილიონიანმა არმიამ. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის დეკემბრის ისტორიული დადგენილების ცხოვრებაში განუხრელად გატარების შედეგად საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობა კიდევ უფრო მასობრივი გახდა.

ქალაქად და სოფლად იმატა ფიზკულტურის კოლექტივთა და მათ წევრთა რიცხვმა, მრავლად აიგო ახალი, კეთილმოწყობილი სპორტული ბაზები, გაიზარდა მშთ კომპლექსის ნიშნოსანთა, თანრიგოსანთა და სპორტის ოსტატთა რიგები, ახალ, მაღალ საფეხურზე ავიდა სპორტსმენთა დახელოვნების დონე. ამის ნათელი დადასტურებაა ის 38 მსოფლიო და სსრ კავშირის 521 რეკორდი, რომლებიც დაამყარეს გასულ სეზონში საბჭოთა სპორტსმენებმა. მრავალი ბრწყინვალე წარმატება იქნა მოპოვებული საერთაშორისო ასპარეზობებში ჩვენი მოჭადრაკეების, ფრენბურთელების, კალათბურთელების, ფეხბურთელების, მოჭიდავეების, მძლეოსნებისა და სხვათა მიერ.

ამ შესანიშნავ გამარჯვებებში თვალსაჩინო წვლილი აქვთ შეტანილი საქართველოს ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს, რომლებიც მუდამ იდგნენ და დგანან საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის მოწინავეთა რიგებში. გასულ წელს საქართველოს სპორტსმენები წარმატებით იცავდნენ რესპუბლიკის ღირსებას საკავშირო შეჯიბრებებში. განსაკუთრებით კარგი შედეგები მოიპოვეს თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა, საქართველოს კალათბურთელებმა, შტანგისტებმა, მოჭიდავეებმა, ტანმოვარჯიშეებმა. სსრ კავშირის ჩემპიონის საპატიო ტიტული დაიმსახურეს ნ. ხნიკინამ, ვ. სვეტილკომ, დ. ციმაკურიძემ, რ. ჩიმიშკიანმა, მ. ჯუღელმა, ე. ქარქუსაშვილმა, შ. ჩაჩხიანმა და სხვ.

და აი, მოვიდა ახალი, 1952 წელი! საბჭოთა ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა მას, რადგან იცის, რომ ახალი წელი—ეს არის ახალი გამარჯვებები პოლიტიკისა და მეცნიერების, ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის, კულტურისა და სპორტის ყოველ უბანზე. ასეთია ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ტრადიცია—ყოველი ახალი წელი ახალი მიღწევებით აღნიშნონ!

რა ცივი მდუმარებით შეხვდნენ ახალ წელს იმ ქვეყნების ხალხები, სადაც მეფობს კაპიტალი და არის სიღატაკე, სადაც არსებობს არაადამიანური ექსპლოატაცია და რასობრივი ჩაგვრა. ასეთივე სიცივითა და ჩამქრალი თვალებით გააცილა კაპიტალისტური სამყაროს მილიონობით უმუშევარმა ადამიანმა გასული წელი.

ამერიკელ-ინგლისელ და სხვა ჯურის ომის გამჩაღებელთათვის ახალი წელი — ეს არის ახალი ბომბები თავისუფლებისმოყვარე კორეის ხალხზე, გამალებული შეიარაღების ახალი გაძლიერება, მშრომელთა ჩაგვრისა და უუფლებობის ახალი მეთოდების გამოგონება... ამ ქვეყნების მშრომელთათვის კი ახალი წელი ახალი სიღატაკეა, საყოფაცხოვრებო პირობების ახალი გაუარესება.

მაგრამ ახალ წელს ყველგან, ოკეანეს იქეთაც კი, ახალი ძალით გაისმის მსოფლიოს ნამდვილი ადამიანების გულიდან ამოსული უძვირფასესი სიტყვა: „მშვიდობა!", სიტყვები: „მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე!"

მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე, რადგან მშვიდობის საქმის უერთგულესი დამცველია დიადი საბჭოთა ქვეყანა, რადგან მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის მებრძოლთა უძლეველ ბანაკს აღაფრთოვანებს დიდი სტალინის — მშვიდობის პირველი მედროშის გენია.

## საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ კომიტეტში

ამას წინათ მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირის ოლიმპიური კომიტეტის სხდომა, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ქვეყნის გამოჩენილმა სპორტსმენებმა და ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, მათ შორის სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა ვ. ანდრეევმა, ი. ანიკანოვმა, ფ. ვანინმა, ვ. გრანატკინმა, ნ. დუმბაძემ, ი. ლისოვმა, ა. მაზურმა, ნ. ოზოლინმა, ზ. რომანოვამ, ა. სმირნოვმა, ს. სპანდარიანმა, სპორტის სხვადასხვა სახეების საკავშირო სექციების თავმჯდომარეებმა და სხვ.

საბჭოთა კავშირის ოლიმპიურმა კომიტეტმა განიხილა მომავალ ოლიმპიადაში მონაწილეობის საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება აცნობოს XV ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტს მომავალ XV ოლიმპიადაში, რომელიც ჩატარდება 1952 წლის 19 ივლისიდან 3 აგვისტომდე ქალაქ ჰელსინკში (ფინეთი), საბჭოთა სპორტსმენების მონაწილეობაზე წინასწარი თანხმობის შესახებ.




ნახატი მხატვარ გ. იაშვილისა

## გეგმები შესრულებულია

ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „კრასნოე ზნამიას" რესპუბლიკურმა საბჭომ ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმა ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით.

დიდი წარმატებებია მოპოვებული როგორც პირველი, ისე მეორე და მესამე თანრიგის სპორტსმენთა მომზადების მხრივ. I თანრიგზე 8 კაცის ნაცვლად მომზადებულია 11, II თანრიგზე 46-ის ნაცვლად — 73, ხოლო III თანრიგზე — 250-ის ნაცვლად — 895. ჭაბუკთა თანრიგზე მომზადებულ იქნა 170 კაცი, რაც გეგმის 400-ზე მეტ პროცენტს შეადგენს.

სერიოზული მუშაობა გასწია რესპუბლიკურმა საბჭომ მშთ ნიშნოსნების მოსამზადებლად და თვალსაჩინო შედეგებსაც მიაღწია: I საფეხურზე გეგმის გადამეტებით მომზადებულია 274 კაცი, II საფეხურზე — 48 კაცი.

გადაჭარბებითაა შესრულებული აგრეთვე ძირეული საბჭოს თავმჯდომარეების, ფიზორგების, საზოგადოებრივი ინსტრუქტორებისა და მსაჯების მომზადების დავალება.

ვახტანგ გოგოლაშვილი

## საახალწლო

თანატოლებო, მოსკოვის გულისთქმას დააყურადეთ,
თორმეტჯერ დაჰკრა საათმა მაღალი კრემლის კურანტზე.

გალაღებული ყოველთვის, გახარებული ყოველთვის,
თოვლის ფანტელებს შემოჰყვა ცხრაასორმოცდათორმეტი.

თანატოლებო, გახედეთ, ქედებს ფიფქები ედება,
ეს წელი შრომით, გმირობით და წინსვლით დაგვებედება.

ითოვოს, ახალ წელიწადს თოვლის სინათლე უხდება,
გაზაფხულდება—მიწიდან ბარაქა ამოდუღდება.

თოვოს, ხეებმა მკლავები ცაში გაშალონ აფრებად,
დამშვენდეს ძვალმსხვილ ჭაბუკებს თხილამურებით გაფრენა,

რომ უფრო მეტად გავმაგრდეთ, რომ უფრო მეტად
გავკაჟდეთ;
გახედეთ, ჩვენი ველები მოვერცხლილივით კაშკაშებს.

გახედეთ, დიდი სინათლით განათებული ჩვენი ცა,
სულ ლხენა დაებედება შემოსულ ახალ წელიწადს.

გახედეთ, მხრებდათოვლილნი ცაში ცურავენ ქედები,
მოფარფატებენ ფიფქები, როგორც მშვიდობის მტრედები.

მშვიდობის ახალ წელიწადს წინ მოუძღვიან ფიფქები,
მშვიდობის სადარაჯოზე კვლავ უდრეკელი ვიქნებით,

რომ ვერასოდეს დანისლონ საბჭოთა ზეცა, ფერადი,
ახალ წელიწადს გვილოცავს გაღიმებული ბელადი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავისუფლება, ბედნიერება, მშვიდობა

★

## მადლობა სამშობლოს

ყოველი სპორტსმენის სანუკვარი ოცნებაა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლის მოპოვება. ასეთი მედალი პირველად წილად მხვდა ორი წლის წინ. მახსოვს, ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა...

გასულ წელს მივიღე ოქროს მედალი, რომელზეც დღენიადაგ ვფიქრობდი უკანასკნელი წლების მანძილზე — ფრიადზე დავამთავრე საშუალო სკოლა. ახლა ჩემი მეორე ნატვრაც: ვარ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

—მადლობა სამშობლოს! ვიმეორებ ყველგან და ყოველთვის, ვიმეორებ, რადგან ჩემი ყოველი წარმატება დაფუძნებულია იმ მზრუნველობაზე, რასაც იჩენს დედასამშობლო ყოველი საბჭოთა ადამიანისადმი. აბა სად, რომელ ქვეყანაშია შესაძლებელი, რომ მუშის შვილს სწავლის, მუშაობისა და დასვენების ასეთი პირობები ჰქონდეს.

... მძლეოსნებმა კარგად იციან, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სტარტს. რამდენიმე დღეში უნდა ავიღო პირველი სტარტი უმაღლეს სასწავლებელში: გავიდე პირველ საგამოცდო სესიაზე. ვეცდები ეს სტარტი ისეთივე გამოდგეს, როგორც მძლეოსნურ ბილიკზე.

მივაღწიო ახალ წარმატებებს სწავლაში და სპორტში, — ასეთია ჩემი ამოცანა 1952 წელს.

**ნ. ხნიკიძე,**
სსრ კავშირის ჩემპიონი და რეკორდსმენი.

## დიდი ქვეყნის მაგალითზე

1951 წლის ზაფხული დაუვიწყარი იქნება ჩემს ცხოვრებაში. საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში მე შევხვდი ბულგარეთისა და რუმინეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკების უძლიერეს ველომარბიელებს.

წარუშლელი კვალი დატოვა ჩემში ბულგარელი და რუმინელი სპორტსმენების გულთბილმა მეგობრობამ. ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და დიდი სტალინის ბრძნულმა საგარეო პოლიტიკამ მტკიცე მეგობრობის ძაფებით დააკავშირა ერთმანეთს მშვიდობისათვის მებრძოლი ხალხები.

— ჩვენ, ბულგარელები და რუმინელები,—გვეუბნებოდნენ ძვირფასი მეგობრები, — თქვენი დიდი სახელმწიფოს მაგალითზე ვაშენებთ ჩვენს ქვეყნებში სოციალიზმს, ვიბრძვით მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში.

**ო. დადუნაშვილი,**
სპორტის ოსტატი.

## კოლექტივი დიდი ძალაა

აკრობატთა ოთხეულის მუშაობა დიდ სიზუსტესა და ურთიერთგაგებას მოითხოვს. მხოლოდ ძნელად დასაძლევი ელემენტების ათვისება როდია საკმარისი ოთხივე აკრობატის შეთანხმებული მოქმედებისათვის. სპორტსმენები უნდა წარმოადგენდნენ უაღრესად მეგობრულ კოლექტივს არა მარტო სასპორტო ხალიჩაზე, არამედ ცხოვრებაშიც.

ეს მაღალი თვისებები: მეგობრობისა და კოლექტივიზმის გრძნობა, ურთიერთდახმარება, გამარჯვებისაკენ სწრაფვა ჩვენ გამოგვიწრთო მშობლიურმა პარტიამ და მთავრობამ, იმ საზოგადოებრიობამ, რომელშიც ვცხოვრობთ და ვმოღვაწეობთ, — საბჭოთა საზოგადოებრიობამ.

**მ. ქელეხსაშვილი,**
სპორტის ოსტატი, სსრ კავშირის ჩემპიონის — საქართველოს აკრობატთა ოთხეულის წევრი.



სსრ კავშირის რეკორდსმენი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ე. გოკიელი ღირსეულად ატარებს საბჭოთა მოქალაქის მაღალ სახელს. იგი არის სარკინიგზო ტრანსპორტის ინჟინერი-მშენებელი, მშობელი დედა, აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი. ე. გოკიელი სისტემატურად მუშაობს თავისი ცოდნის დონის ამაღლებაზე, სპორტული ტექნიკის შემდგომ დახვეწაზე. ამავე დროს იგი არის საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი. **სურათზე:** ე. გოკიელი ემზადება სახესხო გამოცდისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში.

★ ★ ★

## მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე

საბჭოთა სპორტსმენები ყოველ საერთაშორისო შეხვედრას ვუყურებთ, როგორც ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების აქტს, როგორც ჩვენს მცირე წვლილს მშვიდობისათვის ბრძოლის დიად საქმეში. ამ შეხვედრებში ჩვენი ქვეყნის წარგზავნილები ცხადყოფენ, თუ რაოდენ ძლიერი, ნებისყოფიანი და ჯანსაღია ბედნიერი საბჭოთა ადამიანი; ამ ასპარეზობებში გამოსჭვივის საბჭოთა ხალხის საუკეთესო ჩვევები.

მრავალრიცხოვან შეჯიბრებებში სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წარმომადგენლებთან, ჩვენი სპორტსმენები გადასცემენ მათ თავის მდიდარ გამოცდილებასა და ცოდნას. აი დამახასიათებელი სტრიქონები ჟურნალიდან „სახალხო დემოკრატიული რუმინეთი".

„ბუქარესტში ჩამოსვლისას საბჭოთა სპორტსმენები რუმინეთის მძლეოსნებთან შეუდგნენ ერთობლივ წვრთნას. კაპიტალისტურ ქვეყნებში ასეთი მოვლენა შეუძლებელია.

განა წარმოსადგენია, რომ გუნდი, რომელიც მონაწილეობს შეჯიბრებაში, ატარებდეს ვარჯიშს თავის მომავალ მოწინააღმდეგეებთან? — იტყვიან ბურჟუაზიული ქვეყნების სპორტსმენები, რომელთა შორის აღვირახსნილი კონკურენციის სული ისევე მეფობს, როგორც მათ საერთო ცხოვრებაში".

თავიანთ გამოსვლებში ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ საბჭოთა სპორტსმენები აქარწყლებენ ბურჟუაზიულ-რეაქციული გაზეთების ცილისმწამებლურ განცხადებებს ჩვენი ცხოვრების შესახებ.

მახსოვს ასეთი ეპიზოდი ბრიუსელში. ევროპის მძლეოსანთა პირველობის შემდეგ საბჭოთა სპორტული დელეგაცია ერთ საღამოს ქალაქის საზოგადოებრიობას შეხვდა.

დიდი დარბაზი ხალხითაა სავსე. ათასი თვალი ცნობისმოყვარეობით მათვალიერებს სპორტსმენ ქალს, რომლის სახელი იმ დღეებში ხშირად იყო მოხსენებული ადგილობრივ გაზეთებში. იგრძნობოდა, მათთვის რაღაც უჩვეულო მოვლენა: სპორტსმენი ქალი ლაპარაკობს ტრიბუნიდან! და ეს იმ ქვეყანაში, სადაც ქალი მოკლებულია პოლიტიკურ უფლებებს, არჩევნებში ხმის უფლებას.

— ამ დაუვიწყარ დღეებში,—განვაცხადე მე, — როდესაც მსოფლიოს ხალხთა მოწინავე ნაწილი მშვიდობისათვის ბრძოლის ურყევი მასწრაფებებით არის გაერთიანებული და გამსჭვალული, საბჭოთა ქალები ამბობენ: ჩვენი ნათელი მომავლის, ჩვენი საყვარელი ბავშვების საკეთილდღეოდ მზად ვართ ბოლომდე ვიბრძოლოთ მშვიდობის დაცვის წმიდა საქმისათვის მთელ მსოფლიოში. მე მრავალი ეროვნების წარმომადგენლებთან მისაუბრია და ყველასაგან გამიგონია ურყევად ნათქვამი: მშვიდობა, — ეს არის ჩვენი უპირველესი მიზანი!

დარბაზში ტაში იქუხა. ვუცქერდი აღელვებულ, მომღიმარ სახეებს და ვფიქრობდი: არა, არ შეიძლება, რომ პატიოსანი ადამიანი, რომელი ეროვნებისაც არ უნდა იყოს იგი, ახლა მშვიდობისათვის მებრძოლთა რიგებში არ იდგეს...

კარგად იციოდნენ ამერიკელ-ინგლისელმა ომის გამჩაღებლებმა და მათმა ლაქიებმა სხვა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებიდან, რომ საბჭოთა ხალხი მშვიდობის დიად საქმეს დაიცავს ისე მედგრად და თანამიმდევრულად, როგორც ამას გვასწავლის მშვიდობის პირველი მედროშე მთელ მსოფლიოში — დიდი სტალინი.

მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე!

**ნ. დუმბაძე,**
მსოფლიო რეკორდსმენი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

## საბჭოთა სპორტსმენის კეთილშობილური სახე

როდესაც ვლაპარაკობთ ფიზიკური აღზრდის საბჭოურ სისტემაზე, სპორტული მიღწევებისა და ტექნიკური მაჩვენებლების გარდა ვგულისხმობთ მორალურად ყოველმხრივ გამოწრთობილ ადამიანს. დედასამშობლოსადმი უსაზღვრო პატრიოტიზმი, გამარჯვებისადმი შეუნელებელი სწრაფვა, შეუპოვრობა დაბრკოლებათა გადალახვისას, ამხანაგობისა და კოლექტივიზმის მტკიცე გრძნობა, მაღალი კულტურა და პატიოსნება, მოწინააღმდეგის პატივისცემა—საბჭოთა სპორტსმენის დამახასიათებელი თვისებებია.

მაღალი სპორტული მაჩვენებლებისა და ურყევი მორალური ჩვევების ჰარმონიული შერწყმა — აი, საბჭოთა სპორტსმენის, სტალინური ეპოქის ადამიანის სახე. ეს ძვირფასი ჩვევები საბჭოთა ადამიანებს გამოუმუშავა და გამოუწრთო მშობლიურმა ბოლშევიკურმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ, დიდმა სტალინმა.

საბჭოთა სპორტსმენს — კეთილშობილ, სულგრძელ ადამიანს კარგად იცნობენ ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთაც.

... პარიზის სპორტის სასახლის დარბაზში კალათბურთელთა დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა ევროპის პირველობაზე. თამაშობდნენ სსრ კავშირისა და ფინეთის გუნდები. ერთ მეტად მწვავე მომენტში, როცა საბჭოთა კალათბურთელები გაიჭრნენ მოწინააღმდეგის ფართან და ის-ის იყო ახალი ქულა უნდა მოეპოვებინათ, ფინელმა მცველმა წაიბორძიკა, წაიქცა და იატაკს მუხლი დაჰკრა. წამსვე მასთან მიირბინა ოთარ ქორქიამ, დაიხარა და ფეხზე წამოაყენა.

პარიზელ მაყურებლებს ხშირად უნახავთ ბურჟუაზიული სპორტის მახინჯი გამოვლინებანი და სპორტსმენის ამ „გასაოცარმა" საქციელმა დარბაზის მხურვალე რეაქცია გამოიწვია. ამ „სასწაულის" ნახვისას მაყურებლები ერთად წამოდგნენ ფეხზე და მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს კეთილშობილი საბჭოთა სპორტსმენი.

... ახლახან ბაქოში დამთავრდა საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა სიმძიმეების აწევაში. ვინ იცნობდა მანამდე მსუბუქი წონის ატლეტს ქალაქ პენზიდან ა. ნიკულინს? ამ შეჯიბრებაზე ნიკულინმა შესანიშნავ წარმატებას მიაღწია — ორი ხელით აჰრვაში დაამყარა მსოფლიო რეკორდი. ახალგაზრდა რეკორდსმენთან პირველი მივიდა ქერათმიანი სპორტსმენი, გულკეთილი ღიმილით მხურვალედ ჩამოართვა ხელი და წარმატება მიულოცა. ეს ქერათმიანი სპორტსმენი გახლდათ რეკორდის ძველი მფლობელი, თბილისელი ვლადიმერ სვეტილკო.

ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ ძალაუნებურად გაგონდება შემზარავი ეპიზოდები კაპიტალისტური სამყაროს სპორტული ცხოვრებიდან, სადაც ყოველივე დაფუძნებულია ბიზნესზე, სადაც დევიზად გაუხდიათ: „გამარჯვება, სულ ერთია, რა გზით იქნება იგი მოპოვებული".

## „თბილისი. ბორის პაიჭაძეს..."

ბევრი წერილი პირდაპირ ასე მოდიოდა: „თბილისი. ბორის პაიჭაძეს"... და, მიუხედავად ამ ლაკონური მისამართისა, არც ერთი მათგანი არ დაკარგულა. ფოსტის მუშაკებმა, რომელთა შორის მრავლად იყვნენ ფეხბურთისა და, კერძოდ, თბილისის დინამოელთა კაპიტნის გულშემატკივარნი, იცოდნენ რომელ ფოსტალიონს უნდა წაეღო კონვერტი წარწერით: „თბილისი. ბორის პაიჭაძეს".

... და აი, საერთაშორისო ფეხბურთის ბრწყინვალე დიდოსტატი, სპორტსმენი, რომელმაც თავისი გარდუვალი კვალი დაამჩნია საბჭოთა სპორტის ისტორიას და უბადლო ოსტატობით, თავმდაბლობით, მეტოქისადმი პატივისცემითა და კორექტულობით მოხიბლა მოსკოვისა და ლენინგრადის, კიევისა და სტალინგრადის, მინსკისა და კუიბიშევის, ჩვენი სამშობლოსა და სახალხო დემოკრატიის ქალაქების მაყურებლები, ხსნის ამ კონვერტს, კონვერტს კი არა კონვერტებს, ფოსტას და ინტერესით, გატაცებით კითხულობს...

რომელი ქალაქის შტამპი არ აზის ამ მრავალრიცხოვან კონვერტებს! მას, მოწინავე საბჭოთა სპორტსმენს, წერენ მოსკოველი სტუდენტები და მოსწავლეები და ივანოვოს ფეიქრები, ხარკოველი ექიმი და მესაზღვრეები შორეული აღმოსავლეთიდან, დამსვენებლები ყირიმის სანატორიუმებიდან და კუიბიშეველი სტახანოველები...

... კითხულობდა დინამოელთა კაპიტანი ამ წერილებს და გული სიამაყის გრძნობით ევსებოდა: ასეთი რამ ხომ მხოლოდ ჩვენს ქვეყანაშია შესაძლებელი! საბჭოთა ადამიანებს აინტერესებთ ჩვენი მოწინავე სპორტსმენების ცხოვრება, მუშაობა, წვრთნა, თამაში... ისინი მხურვალედ მიესალმებიან ცალკეული მოთამაშისა და გუნდის წარმატებას, მძაფრად განიცდიან მათ მარცხს... ამხანაგობისა და მეგობრობის ძაფებია გაბმული ჩვენში კომპოზიტორსა და სპორტსმენს, კოლმეურნესა და მწერალს, მეცნიერსა და სტახანოველს შორის, რაგინდ შორი მანძილი არ ჰყოფდეს მათ.

აი, წერილებიც:

„ქალაქ პავლოვის მეტალისტთა დიდი ჯგუფი — თბილისის „დინამოს" გულშემატკივარნი, გითვლით თქვენ — სპორტის დამსახურებულ ოსტატს, საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელს და თქვენ გუნდს გულითად, ამხანაგურ სალამს. ჩვენ დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალყურს თქვენ თამაშს და ყოველ თქვენ გამარჯვებას სიხარულით ვხვდებით. თქვენი თამაშის შესახებ ჩვენ ვიცით გაზეთებიდან, ჟურნალებიდან, რადიოსა და კინოს საშუალებით.

...ჩვენ ძალზე გვაინტერესებს თქვენი თამაში. თქვენდამი ჩვენი პატივისცემის ნიშნად გიგზავნით მცირედ საჩუქარს — პატარა ჯაყვას, რომელიც დიდი სიყვარულით გავაკეთეთ ჩვენ, პავლოველმა მუშებმა..."

ეს წერილი მოვიდა ქალაქ პავლოვიდან, რომელიც მდებარეობს მდინარე ოკაზე, გორკის ოლქში.

1941 წელი ბორის პაიჭაძისათვის დიდი სიხარულის წელი იყო — იგი დაჯილდოებულ იქნა „საპატიო ნიშნის" ორდენით და აი, მისი სიხარული მრავალმა საბჭოთა ადამიანმა გაიზიარა — თბილისში მოდიოდა კონვერტები წარწერით: „ბორის პაიჭაძეს".

„ღრმად პატივცემულო ბორის სოლომონის-ძევ! მხურვალედ გილოცავთ მაღალ ჯილდოს. გისურვებთ ცხოვრებაში ყოველივე კარგს... თუმცა მე თქვენ პირადად არ გიცნობთ, თავი ვერ შევიკავე, რომ არ მომელოცნა..." წერს დინამოელთა კაპიტანს სტალინური პრემიის ლაურეატი, კომპოზიტორი დ. შოსტაკოვიჩი. მთავრობის ჯილდო მიულოცეს ბ. პაიჭაძეს აგრეთვე მოსკოველებმა სიდოროვმა, პოპოვმა, ლისკანოვმა და სხვებმა.

აი, რამდენიმე წერილი საბჭოთა არმიისა და ფლოტის მებრძოლთაგან. „ჩვენ სიამოვნებით და მღელვარებით ვადევნებთ თვალყურს თქვენსა და თქვენი შესანიშნავი გუნდის თამაშს", იწერებოდნენ ბალტიის ფლოტის მეზღვაურები ვ. კოტლოვი, ა. სივაკოვი და სხვები; „თქვენ — თანამედროვე ფეხბურთის გმირი ხართ", წერდნენ ამიერბაიკალის სამხედრო ოლქის მესაზღვრეები, „ჩვენ ბერლინში ვართ და თქვენი გუნდის თამაშის დღეებში ინტერესით ვუზივართ რადიომიმღებს", იტყობინებოდნენ ბერლინიდან საბჭოთა მეომრები...

ეს მრავალრიცხოვანი წერილები, ეს გულითადი ფოსტა ჭეშმარიტი დადასტურებაა იმ მზრუნველობისა და ყურადღებისა, რასაც ჩვენი ქვეყნის მშრომელები იჩენენ საბჭოთა სპორტისა და მისი წარმომადგენლების მიმართ.

**მ. გიაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კაცთმოძულეობა, სიღატაკე, მონობა



★ ★ ★

## სპორტსმენის ბედი ამერიკაში

**ნიუ-იორკი.** (საკდესი). 1950 წლის 13 აპრილს დენვერის უნივერსიტეტის კლუბის ფეხბურთის გუნდის წვრთნის დროს მცველ ერნესტ ნემეტს უბედურება შეემთხვა: დაუზიანდა ხერხემალი, რის შედეგადაც იგი იძულებული გახდა თავი დაენებებინა ფეხბურთისათვის.

როგორც ჟურნალი „ნიუს უიკი" იუწყებოდა, ნემეტმა მოითხოვა 1950 წლის 13 აპრილიდან გადაეხადათ მისთვის კუთვნილი ხელფასიდან 26 დოლარი კვირაში.

„რასაკვირველია, — წერს „ნიუს უიკი". — კლუბის ადმინისტრაციას შეუძლია თქვას, რომ არც ერთი მცველი დაზიანებული ხერხემლით არა ღირს კვირაში 26 დოლარი, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ამ ფეხბურთელს არ შეუძლია იშოვოს არავითარი სხვა სამუშაო, მაშინ ნათელი გახდება, რომ ასეთი მცირედი ხელფასიც კი, როგორიც არის 26 დოლარი კვირაში.. ნაპოვნი ექნებოდა ინვალიდისათვის".

კოლორადოს შტატის სპეციალურმა კომისიამ, რომელიც იხილავს იმ მუშათა კომპენსაციების საკითხებს, რომლებმაც შრომისუნარიანობა დაკარგეს წარმოებაში, გაარჩია ნემეტის საქმე. მან დაადგინა, რომ ნემეტს აქვს უფლება მიიღოს კვირაში 13 დოლარი იმ დღიდან, როცა შეემთხვა უბედურება, მანამდე, სანამ ის არ ჩაითვლება სამუშაოდან მოხსნილად.

ამ უბედური შემთხვევის შედეგად ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ, თუ რა ბედი ელის ყოველ პროფესიონალ ფეხბურთელს ამერიკაში, რომელმაც დაკარგა „შრომისუნარიანობა". დასახიჩრებული ფეხბურთელი იშოვის კი სადმე სამუშაოს?

—⊙—

## „შემსუბუქებული" რეკორდები

ამ რამდენიმე ხნის წინათ ფრანგულმა გაზეთმა „ეკიპმა" მოათავსა ინფორმაცია შვეციიდან იმის შესახებ, რომ ქ. ორებროში უმედალენმა (ნამდვილი გვარი — იოჰანსენი) ურო ტყორცნა 57,41 მეტრზე, რითაც დაამყარა შვეციის ახალი რეკორდი. გავიდა ორი-სამი დღე და გაზეთში გამოქვეყნდა მეორე ცნობა: ბო ერიქსონმა ურო 58,56 მეტრზე ტყორცნა...

ხოლო კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ გამოირკვა, რომ არც ერთი და არც მეორე შედეგი.. სინამდვილეს არ შეეფერება: როგორც ერთმა, ისე მეორე „რეკორდსმენმა" ტყორცნა ურო, რომელიც ჩვეულებრივზე 500 გრამით ნაკლებს იწონიდა.

## ფალახი... „მეცნიერების ფაქარში"

ამას წინათ, ქ. ბოულდერში (აშშ) გაიმართა დიდი „სპორტული ზეიმი", მიძღვნილი კოლორადოს შტატის უნივერსიტეტის იუბილესადმი.

ერთ-ერთ მოედანზე სტუდენტთა ჯგუფი აჩვენებდა მიზანში ზუსტი სროლის კლასიკურ ნიმუშებს: თუნუქის ფარში გაკეთებულ მცირე ჭრილში წამით გამოჩნდებოდა ქალიშვილის სახე და მაშინვე ათეული ლაყე კვერცხი ხვდებოდა მის, ისედაც გათხუპნულ ფიზიონომიას.

იქვე, ტალახით სავსე ორმოში, ყელამდე ჩაძირული ორი სტუდენტი ქალი ქოშინითა და ქშინვით ეჭიდებოდა ერთმანეთს.

კვლავ ტალახით სავსე ორმო, რომელშიც ორი გუნდი ერთმანეთს ეჯიბრებოდა... ტალახით პირის ამოვლებაში.

კოლორადოს შტატის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ამგვარ „სპორტულ" გართობებს სავსებით ნორმალურ და სასარგებლო მოვლენად თვლის. ამასთან ეგი მრავალმნიშვნელოვნად დასძენს: „ისინი (იგულისხმება სტუდენტები) მალე ხომ არმიაში უნდა წავიდნენ!"



...ეს მოცეკვავე იხრავს, როცა მსაჯი (მარჯვნივ) მას „შეჯიბრებაზე" გასვლას აჩქარებს. გუნდები ანუ წყვილები რჩებიან ხარბიელზე ანუ იატაკზე 24 საათის განმავლობაში და ცეკვავენ, ცეკვავენ, ცეკვავენ... შესვენებისათვის მათ ეძლევათ ყოველ საათში 15 წუთი. მოცეკვავეთა ანუ შეჯიბრების მონაწილეთა უმრავლესობა ასპარეზობისას „ეჩვევა" ზეზეურად ძილს.

ყოველივე ეს ხდება ამერიკის შეერთებულ შტატებში. როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია!

## ★ უკანასკნელი ნახტომი

**1936** წელი. ბერლინის ოლიმპიადაზე ამერიკის შეერთებული შტატები თავის წარმომადგენლად გზავნის კორნელიუს ჯონსონს. სახელგანთქმულ ზანგ მძლეოსნებთან ოუენსთან, მეტკალფთან და უოკერთან ერთად ახალგაზრდა, ჯერ კიდევ უცნობი ზანგი სპორტსმენი სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტიდან მეტად საპასუხისმგებლო ასპარეზობაში იცავს ამერიკის სპორტულ ღირსებას.

დაძაბული ბრძოლა. კორნელიუს ჯონსონი იმარჯვებს. მას ტოლი არა ჰყავს სიმაღლეზე ხტომაში. სამშობლოში დაბრუნებულს მკერდზე მსოფლიო ჩემპიონის დიდი ოქროს მედალი უბრწყინავს.

...11 წელი გავიდა მას შემდეგ. და აი, ჯონსონის გვამი მდინარიდან ამოათრიეს უმუშევარი, უსახლკარო და ყველასაგან მივიწყებული სპორტსმენი, რომლის სახელი მრავალ წელს დიდებით ჰქუხდა მსოფლიოს სტადიონებზე, სასოწარკვეთილი, უკანასკნელ ნახტომს აკეთებს... ხიდის მოაჯირიდან.

ასე გადაუხადა სამაგიერო კორნელიუს ჯონსონს მისმა „სამშობლომ".

## „სპორტის" ახალი სახე

ამ ბოლო ხანებში ამერიკის შეერთებულ შტატებში ფართო პოპულარობა მოიპოვა „სპორტის" ახალმა სახემ, რომელიც ამერიკის პრესის აზრით ყველაზე კეთილშობილურია და ფართო მასებისათვის ადვილად მისაწვდომი ამერიკაში სპეციალური კლუბებიც კი არსებობს, რომელთა შორის თამაშდება [შე]ერთებული შტატებისა და მსოფლიო პირველობა... სალექი რეზინის გადაფურთხებაში.

მსოფლიო რეკორდი სპორტის ამ „უკეთილშობილეს" სახეში დღემდე უჭირავს ვიღაც მეზღვაურს სან-ფრანცისკოდან. მისი შედეგი — 19,39 მეტრი — ჭეშმარიტად „ფენომენალურია".

ამას წინათ, ამერიკის მფურთხებელთა ფედერაციის პრეზიდენტმა ავტორიტეტულად განაცხადა: „ჩვენს სპორტს დიდი მომავალი აქვსო"

## ტყუპების საიდუმლოება

ნიუ-იორკელმა მძლეოსანმა მიურეიმ გადაწყვიტა რეკორდის გაუმჯობესება ერთდღიან რბენაში ახალგაზრდა მძლეოსნის ამ გაბედულმა გამოსვლამ დიდი სენსაცია გამოიწვია. ხუმრობა საქმე როდია, მთელი დღის განმავლობაში განუწყვეტელი სირბილი და ისიც რეკორდზე!

...დაიწყო გარბენი. გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ მიურეი ერთი-ორი წუთით შეირბენდა ხოლმე გასახდელში, საიდანაც ყოველთვის დასვენებული გამორბოდა მსაჯები დაინტერესდნენ და გადაწყვიტეს სპორტსმენის ასეთი გარდაქმნის საიდუმლოება გამოერკვიათ.

აი, რა აღმოჩნდა: გასახდელში შედიოდა დაღლილი მიურეი, ხოლო იქიდან მეორე, დასვენებული მიურეი გამოდიოდა (თურმე მიურეები ტყუპები ყოფილან), რომელიც ახალი ენერგიით განაგრძობდა რბენას.

## მხოლოდ ფაქტები

⊙ ამერიკაში კარგად იცნობენ ჯონი კონორს — მსოფლიო რეკორდსმენს... თხილის ცხვირით გაგორებაში. მისი რეკორდი — 100 კილომეტრი (ბოსტონიდან უორჩესტერამდე) ჯერ-ჯერობით გადაულახავია.

⊙ ცნობილმა თოკმსვლელმა ჰარი დევისმა ყოველგვარი დაცვის გარეშე წარმატებით დაჰყო ორი ღამე თოკზე, რომელიც 120 ფუტის სიმაღლეზე იყო გაჭიმული. ამრიგად, მან დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი — 55 საათი.

## აი მათი „მორალი" და „კეთილშობილება"

ბრიუსელის სტადიონ „ეიზელის" ტრიბუნებზე ხალხის ტევა არ არის. სიო ნელა არხევს 21 ქვეყნის სახელმწიფო დროშას. 70 ათასი მაყურებელი შეუნელებელი ინტერესით ადევნებს თვალს მძლეოსანთა შეჯიბრებას ევროპის პირველობაზე.

ამ დღეს ჩვენ ვმონაწილეობთ ვაჟთა ამანათრბენში 4×100 მეტრზე.

აცხადებენ ნახევარფინალური გარბენის შემადგენლობას. მეორე ბილიკი უჭირავთ ბელგიელებს, მესამე — ინგლისელებს, მეოთხე — ჩვენ, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს, მეხუთე — ისლანდიელებს, მეექვსე —იუგოსლავებს (პირველი ბილიკი თავისუფალია).

პირველ ეტაპზე ვლადიმერ სუხარევია. მან ჩინებულად გაირბინა თავისი 100 მეტრი და ამანათი გადასცა ლევ კალიაევს. კალიაევმა მაღალი სისწრაფე განავითარა და ამანათი მე გადმომცა. ვირაჟზე მე გავუსწარი ინგლისელსა და ბელგიელს, მაგრამ უკანასკნელმა, როგორც კი შეატყო, რომ საბჭოთა გუნდი წინ გაიჭრა, „დაივიწყა" ყოველგვარი წესი და პირველ ბილიკზე გადაუხვია.

ბელგიელს ინგლისელმაც მიჰბაძა და მესამე ბილიკიდან მეორეზე გადაინაცვლა. ორივე სპორტსმენმა ეს გააკეთა თავხედურად, ყოველგვარი ნამუსისა და სირცხვილის გარეშე... ასეთი „მეთოდით" ბელგიისა და ინგლისის გუნდებმა 4 მეტრის „ეკონომია" გააკეთეს.

ეს მახინაცია აშკარად დაინახეს მაყურებლებმაც. ატყდა ყვირილი, სტვენა, ხმაური. ინგლისელმა, ვითომც არაფერიაო, განაგრძო რბენა და პირველი მივიდა ფინიშთან. ჩვენ „გამარჯვებულს" ჩამოვრჩით 0,1 წამით — ავიღეთ მეორე ადგილი. ფინალში პირველი სამი გუნდი გავიდა: საბჭოთა კავშირის, ინგლისის და ბელგიისა.

მალე შევიტყვეთ, რომ ეს გარბენი სხვა გუნდებს გაუპროტესტებიათ. არსებული წესის თანახმად, ინგლისისა და ბელგიის გუნდები შეჯიბრებიდან უნდა მოეხსნათ, მაგრამ მსაჯთა კოლეგიამ უკანონო დადგენილება გამოიტანა: გადაწყვიტა ამანათრბენის თავიდან ჩატარება..

ამ დროს ტრიბუნიდან ჩამოვიდა ერთი მაყურებელი მუშის ტანსაცმელში, მიუახლოვდა ბელგიის გუნდის წევრებს და უთხრა:

— ეხ, სირცხვილი თქვენ. მასპინძლები კი გქვიათ!

მეორე, ნამდვილი გარბენი ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა. ინგლისელები მესამე ადგილზე გავიდნენ.

აი, ასეთ ხერხებს მიმართავენ „გამარჯვების" მისაღწევად ბურჟუაზიული ქვეყნების სპორტსმენები, რომლებიც აღზრდილი არიან კაპიტალის სამყაროს კაცთმოძულე კანონების მიხედვით.

**ლ. სანაძე,**
სსრ კავშირისა და ევროპის ჩემპიონი.

## რეკორდსმენი... შიმშილის კლანჭებში

**ოუენსი**—გამარჯვებაა! ასე წერდნენ ამერიკის გაზეთები ამ შესანიშნავ მძლეოსანზე. ყოველ შეჯიბრებაში „შავი ჯესი" მხოლოდ პირველი უნდა იყოს — დაჟინებით ღასტურებდნენ ამერიკელი სპორტის მოყვარულები და ამ სიტყვებს ოუენსი საქმით ამტკიცებდა. იყო ეს უბრალო შეჯიბრება ქალაქთა შორის თუ ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონატი, საერთაშორისო მატჩი თუ მსოფლიოს პირველობა „შავი ექსპრესი" ყველგან პირველი არღვევდა ფინიშის ზონარს.

უძლიერესი სპორტსმენის, მსოფლიოში ყველაზე სწრაფი ადამიანის სახელი ოუენსმა ერთხელ კიდევ 1936 წლის ბერლინის ოლიმპიადაზე დაამტკიცა. ოთხი ოლიმპიური ოქროს მედალი: 100 და 200 მეტრზე რბენაში, ამანათრბენში 4×100 და სიგრძეზე ხტომაში. ასეთი სპორტული ნადავლით დაბრუნდა ჯესი ბერლინის ოლიმპიადიდან ამერიკაში.

ზანგები შესანიშნავი მძლეოსნები არიან. მთელ მსოფლიოში გრგვინავს ტოლანუსა და ჰარდ-ჰუბარდის, კორნელიუს ჯონსონისა და მერვენ უიერის სახელები. მათ დაუმარცხებელ ჩემპიონებს ეძახდნენ; ოუენსი კი ჩემპიონთა ჩემპიონი გახდა.

.. გამარჯვებული ჯესი თავის სამშობლოში — ამერიკაშია. მის პატივსაცემად იმართება ბანკეტები, სალამოები, შეხვედრები. სენსაციების მოყვარული გაზეთები ერთხმად გაჰკივიან უძლეველი „შავი ელვის" მიღწევებზე. დემოკრატიაც ეს არის —ამერიკისათვის სულ ერთია შავი და თეთრი ადამიანი.

ოუენსი კი ნაღვლიანი და დასევდიანებულია. ნუთუ მას არ ახარებს დიდების შარავანდედი? ევროპიდან დაბრუნებულ ჯესს თავის სამშობლო ამერიკაში დახვდა მისი გამარჯვებით აღტაცებული ბრბო და.. უმუშევარი მამა.

და აი, ერთ-ერთ ბანკეტზე ოუენსმა კატეგორიულად განაცხადა:

— კმარა ამდენი მლიქვნელობა! მიეცით სამუშაო უმუშევარ მამას და მილიონობით ჩემს თანამემამულეს.

თითქოს, ყუმბარა გასკდა! ოუენსს ყველამ ზურგი შეაქცია. ამ „თავხედობას" მას, ჩემპიონთა ჩემპიონსაც კი ველარ აპატიებდნენ. როგორ? ზანგმა ხმა აღიმაღლა ამერიკაში სოციალურ უთანასწორობაზე?! ამისათვის იგი პასუხს აგებს.

და აგებინეს კიდეც. სახელგანთქმული, დაუმარცხებელი ჯესი, დისკვალიფიცირებულია სამუდამოდ. მას წაართვეს შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლება.

აქ დაესვა წერტილი შესანიშნავი ზანგი მძლეოსნის სპორტულ კარიერას და ამ დღიდან დაიწყო ახალი ხანა ოუენსის ცხოვრებაში.

... ნიუ-იორკის ერთ-ერთი სტადიონის შესასვლელში ვეებერთელა აფიშა იუწყება: ოლიმპიური ჩემპიონი ეჯიბრება რბენაში.. ძაღლს ცხენს! ტრიბუნები სავსეა მაყურებლებით. ცნობილი ჩემპიონის გვერდით მოედანზე დგას დოღის ჯიშიანი ცხენი.

მესტარტის ნიშანზე იწყება ეს უცნაური, სპორტის ისტორიაში არნახული ჭიდილი ადამიანსა და ცხენს შორის. აი, რა მდგომარეობამდე მიიყვანა ნაქებმა ამერიკულმა „დემოკრატიამ". ოლიმპიური ჩემპიონი! ლუკმა პურის მოსაპოვებლად ოუენსი სირბილში ეჯიბრება ცხენებს, ძაღლებს, კენგურუს, ავტომობილს.

შეჯიბრება დამთავრდა. ოუენსმა მიიღო გასამრჯელო — რამდენიმე გროში. ბრბო კი, სანახაობით ნასიამოვნები, დიდხანს არ სტოვებს სტადიონის ტრიბუნებს.

მწარეა და უსიხარულო ერთ დროს უძლეველი ოუენსის ცხოვრების უკანასკნელი პერიოდი „სახელგანთქმული ამერიკული დემოკრატიის" პირობებში. „შავი ექსპრესი" შავად ატარებს თავისი დაბეჩავებული ცხოვრების დღეებს და დღითიდღე სულ უფრო აშკარად გრძნობს რასობრივი დისკრიმინაციის, უუფლებობისა და შიმშილის კლანჭებს.

განსაკუთრებით გაძლიერდა ოუენსის დევნა მას შემდეგ, რაც მან ხმა აღიმაღლა მშვიდობის დასაცავად. ამან კი წონასწორობიდან გამოიყვანა არა მარტო ამერიკის სპორტის მმართველები, არამედ უფრო დიდი სახელმწიფო მოღვაწენიც კი.

და აი, ოუენსი არაამერიკელად გამოაცხადეს!

ამას წინათ ოუენსმა სამართლიანად შენიშნა: „ამბობენ, რომ ჰიტლერი აღარ არსებობსო. არ არის ეს სწორი.. ჯერ კიდევ მრავალი ჰიტლერი ცხოვრობს ჩვენს მიწაზე, და განსაკუთრებით ბევრია ის ჩვენს ქვეყანაში, ქვეყანაში, რომელშიც რასისტები ყოველგვარ ღონეს ხმარობენ სხვა ფერის ადამიანთა მიმართ სიძულვილის დასათესად"

**ნ. ბუბუშვილი**



„პირველი ნაბიჯები“

ფოტო მ. ზარგარიანისა

# გილოცავთ ახალ წელს

„ლელოში“ შემოსულ საახალწლო მისასალმებელ ტელეგრამებში უკრაინის, ბელორუსიისა და აზერბაიჯანის სპორტული გაზეთებისა და ლატვიისა და ესტონეთის სპორტული ჟურნალების რედაქციები გვთხოვენ უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, ლატვიისა და ესტონეთის სპორტსმენთა დავალებით გადავცეთ საახალწლო მილოცვები და კეთილი სურვილები საქართველოს ფიზკულტურელებს, სპორტსმენებს.

## ფეხბურთის მსაჯთა კადრები

თბილისის ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტმა მოაწყო ფეხბურთის მსაჯთა მოსამზადებელი სემინარი. სემინარის მსმენელთათვის ძირითადი საგნების გარდა (ფეხბურთის თამაშის წესები და შეჯიბრებათა ორგანიზაცია) პროგრამაში შეტანილ იქნა დამატებითი საგნები — ფიზიოლოგია და ფსიქოლოგია, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული მსაჯთა პრაქტიკული მსაჯობის ფსიქო-ფიზიკურ მხარეებთან.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ სემინარის მუშაობა ახლებურად იქნა აგებული. მსმენელებმა ჯერ გაიარეს თეორიული კურსი, რის შემდეგ ისინი შეუდგნენ პრაქტიკულ მსაჯობას. სემინარის მსმენელთა რიცხვიდან დაკომპლექტებულ იქნა გუნდები, რომლებიც მოედანზე უშუალოდ ხვდებოდნენ ერთმანეთს, ხოლო თამაშიდან თავისუფალი მსმენელები მსაჯობდნენ შეხვედრას. ყოველ პრაქტიკანტზე მიმაგრებული იყო კვალიფიციური მსაჯი, რომელიც თამაშის მსვლელობაში იქვე, მოედანზე, პრაქტიკანტს საჭირო მითითებებს აძლევდა. ყოველი მსმენელის პრაქტიკულ მსაჯობას ამოწმებდა მსაჯთა კომისია, რომელიც თამაშის დამთავრების შემდეგ არჩევდა მსაჯობის ხარისხს. ასეთ მეთოდს აქვს დადებითი მხარე: მსმენელთა რიცხვიდან შედგენილი გუნდის მოთამაშენი პრაქტიკაზე ხედავდნენ მსაჯის სწორ და არასწორ სჯას და თვით მსაჯიც ამოწმებდა საკუთარ ცოდნას.

ამრიგად, თბილისის ფეხბურთის მსაჯთა კოლეგიას მომავალ სეზონში შეემატება ახალი, კვალიფიციური კადრები.

სემინარზე მასწავლებლებად იყვნენ ა. რატია, დ. ცომაია, ბ. თაკართქილაძე, ა. გონელი, ქ. კრავჩენკო, ო. ჟორდანია, მ. აზატიანი, ს. პანდელოვი.

**ა. გონელი,**
ქ. თბილისის ინსპექტორი ფეხბურთში.

## პიონერების შეხვედრა სპორტის ოსტატებთან

**ბათუმი.** (ჩვენი საკ. კორ.). მასწავლებლის სახლში კომკავშირის საქალაქო კომიტეტმა მოაწყო ქალაქის პიონერული აქტივის შეხვედრა სპორტის ოსტატებთან.

მოსმენილ იქნა საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის სამხედრო-ფიზკულტურული განყოფილების გამგის ამხ. ფ. მახარაძის მოხსენება თემაზე: „ფიზკულტურა და სპორტი სსრ კავშირში“.

მოხსენების შემდეგ პიონერები მიესალმნენ სპორტის ოსტატებს და ყვავილების თაიგულები გადასცეს მათ. თავიანთი სპორტული და საზოგადოებრივი მუშაობის შესახებ პიონერებს მოუთხრეს სპორტის ოსტატებმა ა. გაბრიაძემ, ბ. ფროლოვმა და ვ. სერედამ.

დასასრულ, მე-4 და მე-9 სკოლების პიონერებმა და მოსწავლეებმა მოაწყეს სპორტული გამოსვლები.

## უცხოეთში

**პრაღა.** ცნობილმა მორბენალმა საშუალო დისტანციებზე ჩეხმა იუნგვირტმა ინგლისური მილი (1.609 მეტრი) გაირბინა 4 წუთსა და 13,8 წამში, რითაც დაამყარა ჩეხოსლოვაკიის რეკორდი.

• • •

**კოშიცე.** მარათონულ რბენაში (42,195) ტრადიციული პრიზის გათამაშებამ გამარჯვება მოუტანა ჩეხოსლოვაკელ იაროსლავ სტრუპს, რომელმაც მანძილი დაფარა 2 საათში, 41 წუთსა და 07,8 წამში. ჩეხოსლოვაკიის მრავალგზის ჩემპიონმა მარათონულ რბენაში ფიალამ დაიკავა მეორე ადგილი — 2.41:59,2. ფინიშთან მესამე იყო ალკუსი—2:45:22,6.

ამავე დროს, „დინამოს“ სტადიონზე ჩატარდა რბენა 10.000 მეტრზე. შეჯიბრებაში, რომლის მონაწილეთა შორის არ იყო ე. ზატოპეკი, გამარჯვებული გამოვიდა შვაიგრი, რომელმაც აჩვენა 31:57,7.

• • •

**კოტკა.** ფინეთის რეკორდი ამანათრბენში 4×1.500 მ. — 15:52,2— დაამყარა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ეკმანი, იულინი, ხავმანი და ტაიპალე.

• • •

**უპსალა.** მარიანა ლუნდკვისტმა გააუმჯობესა შვეციის რეკორდი 200 მეტრზე ნებისმიერი სტილით ცურვაში. მან უჩვენა 2:35,5. ვაჟთა შორის გაიმარჯვა ესტრანდმა, რომელმაც აღნიშნული დისტანცია გაცურა 2:15,0. მანვე გაიმარჯვა 400 მ. ნებისმიერი სტილით ცურვაში — 4:53,0.

• • •

**ლუგანო.** იტალიის ერთ-ერთი უძლიერესი ველომრბოლელი (პროფესიონალი) ფაუსტო კოპი 75 კილომეტრზე რბოლაში შეეჯიბრა შვეიცარიის ცნობილ ველომრბოლელებს ჰუგო კობლეტს და ფერდინანდ კუბლერს და დაამარცხა ისინი. კოპიმ დისტანცია გაიარა 1 საათში, 51 წუთსა და 44 წამში. კობლეტმა აჩვენა 1.53:44, კუბლერმა — 1.54:53.

• • •

**ჰეტებორგი.** თავისი ქვეყნის ორი რეკორდი სპორტულ სიარულში დაამყარა შვეციის ჩემპიონმა ლიუნდგრენმა. 50 კილომეტრზე მან აჩვენა 4.32:52,0, ხოლო 30 ინგლისურ მილზე — 4.21:38,2.

• • •

**კოპენჰაგენი.** აქ ცურვაში, ერთმანეთს შეეჯიბრნენ დანიისა და შვეციის ქალთა ეროვნული გუნდები. აი ამ შეჯიბრების ზოგიერთი შედეგი: 100 მ. ბატერფლაით — 1:23,4 — ეკლუნდი (შვ.); 400 მ. ნებისმიერი სტილით — 5:20,2 — ანდერსონი (დანია), 5:29,5 — პეტერსონი (შვ.); 4×100 ნებისმიერი სტილით—შვეცია — 5:17,6.

მატჩის ანგარიშია 59:50 დანიის სასარგებლოდ.

ნახატი მ. ოთაროვისა




დოლი ახალწლის ღამეს ამერიკის შეერთებულ შტატებში

# 1892 წლის 1 იანვარს...

60 წლის წინათ, 1892 წლის პირველ იანვარს, ქ. ჰავანაში (კუნძული კუბა) დაიწყო გრანდიოზული ორთაბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის საპატიო ტიტულისათვის მსოფლიო ჩემპიონ ვ. სტეინიცსა და რუს დიდოსტატ მ. ჩიგორინს შორის. ეს იყო მათი მეორე მატჩი მსოფლიო ჩემპიონის დაფნის გვირგვინისათვის.

ამ ორი უდიდესი მოჭადრაკის შეხვედრები ყოველთვის იპყრობდა ფართო საზოგადოებრიობის ყურადღებას. ეს დიდი ინტერესი აიხსნება არა მარტო ჩიგორინისა და სტეინიცის დიდი პრაქტიკული სიძლიერით, არამედ საჭადრაკო ხელოვნებისადმი ამ ორი მოჭადრაკის შეხედულებათა პრინციპული განსხვავებით. თუ, მაგალითად, სტეინიცი ამუშავებდა ჭადრაკის თამაშის საერთო მეთოდებსა და პრინციპებს და სთვლიდა მათ აუცილებელ დოგმებად, ჩიგორინი ჭადრაკში, უპირველეს ყოვლისა, ხედავდა ხელოვნებას, რომლის სფეროში მიღწევები, მისი აზრით, დამოკიდებულია ყოველი ცალკეული მომენტის სწორად შეფასებასა და გაგებაზე, ჩანაფიქრი კომბინაციის სიღრმესა და ვარიანტების გათვლის სისწორეზე. ჩიგორინის გაგებით, ჭადრაკში საერთო კანონების დადგენა წარმოადგენდა თავისუფალი შემოქმედების შეზღუდვას.

და მიუხედავად სტეინიცისადმი ჩიგორინის დიდი პირადი სიმპათიებისა, იგი მის თეორიას ეჭვის თვალით უყურებდა. ამიტომ, ბრძოლა სტეინიცსა და ჩიგორინს შორის წარმოადგენდა სტეინიცის თეორიის ერთგვარ პრაქტიკულ შემოწმებას.

ასე, რომ 60 წლის, 1892 წლის პირველ იანვარს მატჩი დაიწყო. მისი პირველი პარტია აღინიშნა ჩიგორინის ბრწყინვალე გამარჯვებით. აი, როგორ მიმდინარეობდა ეს პარტია, რომელიც არის ჩიგორინის შესანიშნავი შემოქმედების ნათელი გამოხატულება.

თეთრები — ჩიგორინი. შავები — სტეინიცი

ევანსის გამბიტი

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კc4 კc5 4 b4 (ამ სვლით ხასიათდება ეს სადებიუტო სისტემა, რომლის უბადლო მცოდნე იყო ჩიგორინი. პაიკის შეწირვით თეთრები ასწრებენ შავებს ფიგურების სწრაფ განვითარებაში) 4. ... კ:b4 5. c3 კa5 6. 0—0 d6 7. d4 კg4 8. კb5 ed 9. cd კd7 10. კb2 მce7 11. კ:d7+ ლ:d7 12. მa3! მh6 13. მc4 კb6 14. a4! c6 15. e5. (თეთრები ენერგიულად აწარმოებენ შეტევას) d5 16. მd6+ მფf8 17. კa3 მფg8 18. ეb1! მhf5 (აქ სტეინიცს, მისი თქმით, უნდა ეთამაშა მc8, მაგრამ შავები აქაც აგებდნენ 19. a5 მ:d6 20. ed! კ:a5 21. მe5 ლc8 22. ლh5 f6 23. d7 ლd8 24, ე:b7! და ა. შ.)



19. მ:f7! (ლამაზი და ღრმა კომბინაცია) მფ:f7 20. e6+ მფ:e6 21. მe5! ლc8 22. ეe1 მფf6 23. ლh5 g6 24. კ:e7+ მფ:e7 (თუ 24. ... მ:e7, მაშინ 25. ლh4+ g5 26. მg4+მფf7 27. ლ:g5 მოგებით) 25. მ:g6+მფf6 36. მ:h8 კ:d4 27. ეb3! ლd7 28. ეf3 ე:h8 29. g4 ეg8 30. ლh6+ ეg6 31. ე:f5+ სტეინიცი დანებდა.

**თ. გიორგაძე,**
ოსტატობის კანდიდატი.

# საახალწლო მილოცვები

### „დინამოს“ ფეხბურთელებს

თქვენ თამაშებზე წამოსვლა
არასდროს ჩვენ არ ვინანოთ,
სრული დატვირთვით შრომობდეს
დაუღალავი „დინამო“.
კვლავაც გვაუწყოს ეროსიმ
თქვენი ხოტბა და ქებანი,
ვერ ვნახოთ ლექსიკონებში:
„მაგრამ“ და „დამარცხებანი“.
მუხლმაგარ ახალგაზრდობას
შეუხმატკბილდეს მხცოვანი,
სჯობს ყაიმსა და თავდაცვას
მოგება სახელოვანი!

### სპარტაკელებს

თქვენებურ ტემპით გაჩაღდეს
თამაში თავ-ფეხჩართული,
ვიხილოთ მძაფრი შეტევა
ღირსეული და განთქმული.
მომავლის იმედს შევყურებ,
ცხარე ბრძოლები გადაგხდეთ!
და ზემდგომ კლასში, გისურვებთ,
რომ სულ ხუთებზე გადახტეთ!

### „დინამოს“ კალათბურთელებს

„ჯერ მწარე სჭამე, კვლავ ტკბილი“
უკულმა შეგვიტრიალეთ...
პირველობისთვის მარადჟამს
წინ, გაბედულად იარეთ.
ვართ თქვენი კარგი თამაშის
ზევრის მოწმე და მნახველი,
კვლავ შეგრჩენოდეთ, მრავალწელს,
თასი და ძველი სახელი!

### ცხენოსნებს

თქვენი გარჯა და მიღწევა
მთელ ჩვენ ქვეყანას სმენია,
სადაც კი წახვალთ, ვაჟკაცნო,
იქ გამარჯვებაც თქვენია.
შრომის გმირობა თქვენს მკერდზე
ცრმცრმით ჩამობწკარულა...
კვლავაც გვენახოს მოსკოვში
ცხენბურთი, დოლი, მარულა.

### მოჭადრაკეებს

ნუთუ ეგ თქვენი „ცხენები“
ყველა ჯაგლაგი გამოდგა,
რომ ერთი კარგი „მხედარი“
„დოლში“ ფეხზე ვერ წამოდგა.
სხვა არა მინდა, ნეტავი,
ეს ნატვრა ამიხდებოდეს;
დიდოსტატები ჭადრაკის
თბილისშიც აღიზრდებოდეს!

### ფეხბურთის გულშემატკივრებს

ჩქარა გაივლის ზამთარი,
მალე დადგება აპრილი;
ერთად ვიღელვებთ ბურთისთვის,
პირში პაპიროს გაჩრილი.
ერთი თხოვნა მაქვს თქვენდამი,
თხოვნა ძმური და ნამდვილი;
არ დავიკავოთ ყვირილში
ჩემპიონობის ადგილი.

### მონადირეებს

კარგი ზამთარი დაგიდგათ,
კურდღელს კვალდაკვალ მიჰყვებით.
არ დაგეხოცოთ მგლის ნაცვლად
თქვენ, შინაური იხვები.

### ლელოს ჩემპიონს

ხალხს ეგ სპორტი შეაყვარეთ,
უკვე გიცნობთ საქართველო,
შრომაშიაც გაგეტანოთ
გამარჯვების მტკიცე ლელო.
ფინალისთვის კვლავ გვეწვიეთ,
აგრემც ტკბილად დაბერდებით;
გაიხარეთ, გაგვიმრავლდით,
როგორც თქვენში „პობედები“!

### წყალბურთელებს

გისურვებდით, მომავალში,
ერთი კარგად მოგემარჯვოთ,
ზოგს ხმელეთზე ვადღეგრძელებთ,
თქვენ კი, წყალში გაგიმარჯოთ!

### „დინამოს“ სტადიონის დირექციას

— საათივით მუშაობს!
ასე იტყვის კაცი ხშირად,
თუ თქვენს საათს იგულისხმებთ
მას თვეში აქვს — ერთი კვირა!
არ გისურვებთ საათისთვის
მიგებაძოთ მომავალში,
ტანსაცმელის შეღებისთვის
თქვენს სკამებთან კი ვართ ვალში.

**ქ. გელათელი**

რედაქტორი მ. კაკაბაძე

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი „ლელო“. ტელეფონი 3-90-

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 30.000 უე 0010